

ავტორი: მზია მაისურაძე  
 რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი



სავარჯიშო N1

სავარჯიშოში მოცემული მოსაზრებები 1946 წელს გამოთქვეს სტალინმა და ჩერჩილმა.

ა) გაეცანით მოსაზრებებს

<p><b>მოსაზრება 1:</b>          ბრიტანეთის თანამეგობრობამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა იმოქმედონ ერთობლივად ყველა მიმართულებით, ეს იქნება უშიშროების სრული გარანტია</p>
<p><b>მოსაზრება 2:</b>          ჯერ კიდევ 1933 ან 1935 წელს ერთი გასროლის გარეშე შეიძლებოდა იმ საშინელების შეჩერება, რაც მოხდა. და დღეს გერმანია იქნებოდა ძლიერი, აყვავებული და პატივსაცემი ქვეყანა. მაშინ არ ისურვეს ჩემი მოსმენა და ჩვენ ამ საშინელ ომში აღმოვჩნდით ჩათრეული. ეს არ უნდა განმეორდეს.</p>
<p><b>მოსაზრება 3:</b>          მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შექმნილია კომუნისტური მეხუთე კოლონები, რომლებიც მოსკოვიდან ღებულობენ დირექტივებს. მსოფლიოში მშვიდობისათვის საჭიროა ერთიანი ევროპა.</p>
<p><b>მოსაზრება 4:</b>          კომუნიზმს გავლენის ზრდა მთელ მსოფლიოში საგრძნობია და ეს კანონზომიერია. სწორედ კომუნისტურმა მოძრაობამ იბრძოლა გმირულად და იხსნა მსოფლიო ფაშიზმის საფრთხისგან.</p>
<p><b>მოსაზრება 5:</b>          ის გვესაუბრება ომის გამჩაღებლის პოზიციიდან და მას ჰყავს თანამოაზრეები ბრიტანეთსა და შტატებში</p>
<p><b>მოსაზრება 6:</b>          ბრიტანეთის თანამეგობრობამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა იმოქმედონ ერთობლივად ყველა მიმართულებით, ეს იქნება უშიშროების სრული გარანტია“</p>
<p><b>მოსაზრება 7:</b>          გერმანია სსრკ-ში შემოიჭრა სწორედ იმის წყალობით, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მართავდნენ საბჭოეთისადმი მტრულად განწყობილი მთავრობები.</p>

ბ) ქვემოთ მოცემულ ცხრილში მონიშნეთ იმ მოსაზრების ნომერი, რომელიც ეკუთვნის სტალინს, ჩერჩილს.

													
1	2	3	4	5	6	7	1	2	3	4	5	6	7